



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

27. 04. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლევა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან და საკრებულოს კომისიებიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

/თანამომხსენებლები: რ. ლაშხია, ა. მახათაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ჩახვამე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

11.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

13. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული 16 სოციალური პროგრამის განხორციელებას. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის - პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, 3 მთავარი სპეციალისტის -

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და 1 წამყვანი სპეციალისტის- მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან. სამსახურში დიდი რაოდენობით შემოდის განცხადებები და წერილები. სამსახურში მიმდინარე წლის იანვრის თვიდან შემოსულია 543 წერილი და განცხადება, რაზედაც სამსახურის მიერ ხორციელდება კანონით დადგენილ ვადებში პასუხების მომზადება. სამსახურის დატვირთვიდან გამომდინარე, სამსახურის თანამშრომლებზე ფაქტობრივად თანაბრად ხდება საქმის გადანაწილება და სამსახურში წამყვან სპეციალისტს - მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტს უწევს მთავარი სპეციალისტის - მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დატვირთვით მუშაობა. სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას, მართებულად მიზანშეწონილია, სამსახურში წამყვანი სპეციალისტის - მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი შეიცვალოს მთავარი სპეციალისტის- მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატით და საერთო ჯამში სამსახურის შემადგენლობა განისაზღვროს სამსახურის უფროსის- პირველი რანგი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და 4 მთავარი სპეციალისტით -მესამე რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N23 (27.04.2018)**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში – შშმ) ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობას და ოდენობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.
2. საბჭოს თავმჯდომარეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით).
3. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით). თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
4. საბჭოს შემადგენლობაში შედიან (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით):
 - ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
 - ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
 - გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
 - დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები;
 - ე) საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმუმ სამი წარმომადგენელი;
 - ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული _____ პირი „პროგრესის ვექტორი“-ს წარმომადგენელი;
5. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.
6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.
7. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს ამოცანებს შეადგენს:

- ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და კოორდინაცია;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას შშმ პირთა უფლებები და არ დაუშვას ამ ნიშნით მათი დისკრიმინაცია;
- გ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა ღირსეულ თანაცხოვრებას და ამ მიზნით შეიმუშაოს წინადადებები, გეგმები და ა.შ;
- დ) შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ითანამშრომლოს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან;
- ე) შეიმუშაოს წინადადებები შშმ პირებისათვის შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად;
- ვ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა შრომითი, საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა ხასიათის უფლებების რეალიზებას;
- ზ) ხელი შეუწყოს შშმ პირთა (მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების) მონაწილეობას იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.

საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- ა) რეკომენდაციების შემუშავება შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით;
- ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა ინტეგრაციის კუთხით;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შშმ პირთა საცხოვრებელი, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი და სხვა საკითხების გადასაჭრელად რეკომენდაციების განხილვა და მიღება;

დ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შშმ პირთათვის შესაბამისი სპორტის სახეობების დანერგვასა და პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ე) შშმ პირებთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;

ვ) შშმ პირებთან დაკავშირებით პირობების, არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საკითხებისა და რეკომენდაციების შემუშავება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენა;

ზ) შშმ პირებთან დაკავშირებული პროგრამების რეალიზაციის კოორდინაცია - ზედამხედველობა (მონიტორინგი და შეფასების ანგარიშის მოსმენა);

თ) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე;

გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის, **გიორგი მორჩილაძის** თქმით, სოფელ ჭანჭათში ახალგაზრდა ადამიანი დაავადებულია ცერემბლარული დამბლით, რომლის მშობლებმა მას მომართეს ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ რა სახის დახმარება შეიძლება გაეწიოს ამ მოქალაქეს.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ მოქალაქემ, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა კუთხით ესაჭიროება დახმარება, უნდა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია, რომლის გათვალისწინებით გაეწევა შესაბამისი დახმარება. კერძოდ, სამკურნალო - საოპერაციო ხარჯებსა და კვლევებთან დაკავშირებით, რა თანხასაც სახელმწიფო არ დაუფინანსებს, მუნიციპალიტეტის მიერ არსებული პროგრამის ფარგლებში მოხდება 50 % - იანი თანადაფინანსება, ხოლო მედიკამენტოზური მკურნალობის შემთხვევაში, ფინანსური დახმარება გაეწევა 150 ლარის ფარგლებში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N24 (27.04.2018)

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ 2017 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ მობილიზებულია საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები 2569.5 ათ. ლარი ანუ გეგმა შესრულებულია 94.4%-ით, მათ შორის - საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 100.7%-ით, აქედან საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 601,5 ათ. ლარი /109,4%/; საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 408,7 ათ. ლარი /102,2%/; ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესრულებამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი /200,0%/; სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საკასო შესრულებამ შეადგინა 121,0 ათ. ლარი /134,5%/; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კი 409,8 ათ. ლარი /82,0%/; არასაგადასახადო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 957,8 ათ. ლარი და გეგმა 105,5%-ით არის შესრულებული; აქედან ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მიღებულია 153,6 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 71,8%-ით; მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 9,3 ათ. ლარი /92,6%-ით/; სანებართვო მოსაკრებლიდან მიღებულია 15,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 153,2%-ით; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან მოსაკრებლის სახით მიღებულია 9,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 67,3%-ით; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებულია 31,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 312,5%-ით; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულია 728,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულებულია 112,1%-ით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 10,6 ათ. ლარი; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 50,5 ათ. ლარი, შესრულებულია 19,2%-ით; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური დახმარების სახით მიღებული აქვს 14085,2 ათ. ლარი ანუ გეგმის 107,9%, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5354,2 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 220,0 ათ. ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 3510,3 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან (აზიური ფაროსანას წინაღმდეგ) 106,2 ათ. ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 4737,0 ათ. ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია 140,0 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საფინანსო წლის განმავლობაში სულ შემოსულობების სახით მიღებულია 16654,7 ათ. ლარი ანუ გეგმის 105,6%-ი.

საფინანსო წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხებოდა 211,4 ათ. ლარი, რომელიც მიიმართა ვალდებულებების დასაფინანსებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 28 დეკემბერს N30 დადგენილებით 8147600 ლარის ოდენობით; 2017 წლის 17 თებერვლის N3 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება ბიუჯეტი გაიზარდა 212375 ლარით და განისაზღვრა 8359975 ლარის ოდენობით; 2017 წლის 31 მარტის N11 დადგენილებით შევიდა ცვლილება, დაემატა 2483000 ლარი და განისაზღვრა 10842975 ლარით; 2017 წლის 30 მაისის N17 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტი გაიზარდა 501188 ლარით და განისაზღვრა 11344163 ლარით; 2017 წლის 13 ივნისის N18 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 265472 ლარით და განისაზღვრა 11609635

ლარით; 2017 წლის 30 ივნისის N21 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 138869 ლარით და განისაზღვრა 11748504 ლარით; 2017 წლის 18 ივლისის N22 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 17514 ლარით და განისაზღვრა 11766018 ლარით; 2017 წლის 28 ივლისის N23 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 2128042 ლარით და განისაზღვრა 13894060 ლარით; 2017 წლის 06 სექტემბრის N26 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 247000 ლარით და განისაზღვრა 14141060 ლარით; 2017 წლის 27 ოქტომბრის N33 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 10748 ლარით და განისაზღვრა 14151808 ლარით; 2017 წლის 28 ნოემბრის N35 დადგენილებით განხორციელდა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შიდა ცვლილება და განისაზღვრა 14151808 ლარით; 2017 წლის 25 დეკემბრის N36 დადგენილებით ბიუჯეტი შემცირდა 128404 ლარით და განისაზღვრა 14023404 ლარით;

სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალს, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 5875804 ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული იქნა 13314,6 ათ. ლარის ხარჯი; მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1560,9 ათ. ლარი, გაწეული მიმდინარე ხარჯების 11,1%-ია; შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე 308,3 ათ. ლარი გაწეული ხარჯის 2,2%-ი; მივლინების ხარჯების დაფინანსებაზე 6,6 ათ. ლარი; ოფისის ხარჯების დაფინანსებაზე 279,5 ათ. ლარი, /ხარჯის 1,9%-ის/; წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებაზე 12,6 ათ.ლარი; რბილი ინვენტარის ხარჯების დაფინანსებაზე 1,2 ათ.ლარი; ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯებზე 121,4 ათ.ლარი /ხარჯის 0.87%-ი/; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე 207,3 ათ.ლარი /ხარჯის 1,48%-ი/; არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მიიმართა 4829,9 ათ.ლარი /ხარჯის 34,4%-ი/; სუფსიდირების წესით დაფინანსებაზე მიიმართა 5082,7 ათ.ლარი /ხარჯის 36,2%-ი/; სოციალური პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 334,6 ათ.ლარი /ხარჯების 2,39%-ი/; სხვა ხარჯების მუხლით გაწერილია 299,0 ათ. ლარი /ხარჯების 2,1%-ი/; ვალდებულების კლების მუხლი 270,4 ათ.ლარი /ხარჯების 1,9%-ი/.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 719,0 ათ. ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 5,1%-ი; მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1529,6 ათ. ლარი ბიუჯეტის ხარჯების 10,9%-ი; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 108,4 ათ. ლარი ხარჯების 0.77%-ი; ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა-ნაგებობებში დახარჯული წყლის გადასახადი შეადგენს 5,6 ათ. ლარს; გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე მიიმართა 382,3 ათ. ლარი, ხარჯების 2,7%; დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 647,9 ათ. ლარი, ხარჯების 4,6%; გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე მიიმართა 158,9 ათ. ლარი, ხარჯების 1,1%-ი, სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 47,8 ათ. ლარი, ხარჯების 0,3%-ი; რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 40,0 ათ. ლარი, ხარჯების 0,2%-ი; ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 233,9 ათ. ლარი, ხარჯების 1,66%-ი; ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციული ცენტრი დაფინანსდა 1945,8 ათ. ლარით ხარჯების 13,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე დაიხარჯა 362,9 ათ. ლარი, ხარჯების 2,5%-ი; ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურიას დაფინანსება 86,9 ათ. ლარია,

ხარჯების 0,6%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 156,8 ათ. ლარი შეადგინა, ხარჯების 1,1%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსება 66,8 ათ. ლარია, ხარჯების 0,5%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსდა 920,3 ათ. ლარით, ხარჯების 6,5%-ი; შპს ლანჩხუთი დაფინანსდა 113,7 ათ. ლარით, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 122,9 ათ. ლარი, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის დაფინანსებაზე გაიხარჯა 98,4 ათ. ლარი, ხარჯების 0,7%-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 367,6 ათ. ლარი, ხარჯების 2,6%-ი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 5198,7 ათ. ლარი ბიუჯეტით გაწეული ხარჯების 37,0%-ი. მათ შორის: ნაპირსამაგრი სამუშაოებზე მიიმართა 508,8 ათ. ლარი, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 3118,7 ათ. ლარი, არასაცხოვრებელი ბინათმშენებლობის (გრიგოლეთის ბაზა) სამუშაოებზე 368,7 ათ. ლარი, სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა 603,9 ათ. ლარი, კულტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 116,3 ათ. ლარი, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 12,7 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 391,2 ათ. ლარი, ჯანდაცვის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 78,3 ათ. ლარი.

2017 წელს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა განყოფილებაზე დაკისრებული ყველა უფლება-მოვალეობა. ამასთანავე, განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 116 ცალი და შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 11 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. ასევე მიღებულია არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 10 ცალი და შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 3 ცალი კვარტლური ბალანსის ფორმა. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ აღნიშნული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და შპს მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის I, II, III და IV კვარტლების ბალანსების, 2017 წლის დეკემბრის თვის ყოველთვიური ანგარიშგების ფორმების მიღება-დამუშავებაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 692119 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 5422577 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2017 წლის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 31 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 2, ორივე ტენდერი გამოცხადებული იქნა მრავალფუნქციური პრინტერის შესყიდვის მიზნით. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით შეწყვეტილი იქნა ორი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 256239 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის

საშუალებით გაფორმებული იქნა 27 ხელშეკრულება. სულ 2017 წლის განმავლობაში შესყიდვების განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 203 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით გამოყოფილია 2907178 ლარი. გამოყოფილი თანხით ფინანსდება სულ 15 სამუშაო. ყველა ხელშეკრულებაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აგვისტოს N1401 განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო 707225 ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა ორი სამუშაო.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 1607000 ლარი. გამოყოფილ თანხაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები. სამუშაოები დასრულდა ვადის დაცვით.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მას ხელთ აქვს 2017 წლის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ დეტალურად შემოწმდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ბუღალტრული ანგარიშგება და ინვენტარიზაციის მასალები. დასკვნის მიხედვით, ინვენტარიზაცია ფაქტიურად არ ჩატარებულა, ბუღალტრულ ანგარიშგებებში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, არის შეუსაბამო მონაცემები და ა. შ. ყოველივე აქედან გამომდინარე, დეპუტატი დაინტერესდა, ნორმალურად როგორ შესრულდა 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, მით უმეტეს, როცა ადგილობრივი პრესის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ერთ - ერთი ა(ა)იპ-ისთან დაკავშირებით აუდიტორული დასკვნა გადაცემულია პროკურატურაში.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მუნიციპალიტეტში ბოლო რამდენიმე წელია სრული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, მაგრამ ამჟამად საუბარია ბიუჯეტის შესრულებაზე. ის თანხა, რაც გამოყოფილი იყო, ყველა შესრულდა. კონკრეტული ა(ა)იპ-ის მიმართ არანაირი ვალდებულება მუნიციპალიტეტს არ დარჩენია, ხოლო ის, თუ მათ თანხა როგორ დახარჯეს, ბიუჯეტის შესრულებაზე არ აისახება. ამას შეისწავლის შესაბამისი ორგანოები.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** თქმით, ა(ა)იპ-ისთვის თანხის გამოყოფაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მაგრამ ა(ა)იპ-ის აუდიტორული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის შესახებ ინფორმაციას ისინი არ ფლობენ. მისი აზრით, აუდიტორულ დასკვნას თან უნდა ახლდეს ინფორმაცია, თუ რომელი ა(ა)იპ შემოწმდა და სად რა მდგომარეობაა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მოწვეულ აუდიტს დოკუმენტალურად არ შეუსწავლია და კონკრეტული ციფრები არ უდევს საფუძვლად. ამას სწავლობს შიდა აუდიტის სამსახური და დადებს შესაბამის დასკვნას. რაც შეეხება შიდა აუდიტის მიერ უკვე გაკეთებულ დასკვნებს, იგი უნდა მიაწოდოს შესაბამისმა სამსახურმა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ნებისმიერ ა(ა)იპ-ში შიდა თუ მოწვეული აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე ოდნავ მაინც იქნება ეჭვი შეტანილი ამ ა(ა)იპ-ის საქმიანობაში, მის მიერ ეს ინფორმაცია აუცილებლად გადაეგზავნება შესაბამის ორგანოებს. რაც შეეხება ა(ა)იპ-თან მიმართებაში აღებულ ვალდებულებებს, მუნიციპალიტეტის მიერ ყველა გასტუმრებულია, სახელფასო იქნება ეს თუ სხვა რამ. აუდიტი შევა ყველა ა(ა)იპ-ში, ამიტომ საჭიროა დაელოდონ შედეგებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი (ლელა ჩახვაძე, კახაბერ ასკურავა, ირაკლი მარშანიშვილი);

მიღებულ იქნა განკარგულება N45 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება შეეხო აღნიშნული კომისიის მხოლოდ დასახელებას, ხოლო შინაარსობრივად იქნება იგივე დატვირთვა. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით შეიცვალა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ სახელწოდება და იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N46 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N91 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N47 (27.04.2018)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N43 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - (გრიგოლეთში მდებარე საფეხბურთო ბაზა, (ს/კ N27.15.42.898)) აღარ არის „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს სარგებლობაში, რის გამოც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, აღნიშნული ქონების მოვლა-პატრონობისათვის, ესაჭიროება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა (დამლაგებლის, დარაჯისა და ადმინისტრატორის) რაოდენობის გაზრდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილებას, სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, ყოველდღიური ფოტო და ვიდეოგადაღებისთვის ესაჭიროება ოპერატორი, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, საქმეთა სიმრავლის გამო (კომისიას სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში ეწერება ძალიან ბევრი შუამდგომლობა) ესაჭიროება სპეციალისტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას ესაჭიროება შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდა და ორი ერთეული საჯარო მოსამსახურის დამატება.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, ამ შემთხვევაში ცილდება თუ არა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება 5 %-იან ზღვარს და რამდენი პროცენტით არის შესაძლებელი რაოდენობის გაზრდა, ანუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ხვალ შეიძლება 10 ან 20 %-ითაც გაიზარდოს ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხვი.

მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ ამ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ცილდება 5 %-იან ზღვარს, რადგან „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N48 (27.04.2018)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაძემ**. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის გამოეყო 3200000 ლარი. აქედან I ეტაპზე 271741 ლარი მიიმართოს ფიზიკური პირების დაზიანებული სახლების სახურავების და ელ-გაყვანილობის მასალების შექმნისათვის 209415 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეცვლაზე 42649 ლარი, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის და ფასადის აღდგენაზე 19677 ლარი. ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული 25608 ლარი და გაუნაწილებელი 2928259 ლარი, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 23.04.2018 წლის N472 წერილის თანახმად მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: გზების რეაბილიტაციაზე 1499964 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 370736 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 1071045 ლარი, წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე 12122 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის ხარჯი გაიზარდოს 80000 ლარით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რა თანხა იყო ამ კუთხით გამოყოფილი და რამდენით მოხდა მისი გაზრდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ თავიდან გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, მაგრამ აქ მარტო ტექნიკური ზედამხედველობა არ შედის, არამედ ყველა სამუშაო გაერთიანდა - ექსპერტიზისა და შეფასებითი სამსახურები მოექცა ერთ ჭრილში, მაგრამ თვით ინფრასტრუქტურული პროექტების, როგორც სტიქიასთან დაკავშირებული ანუ სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებითვის ამ ეტაპზე გათვალისწინებულია 80000 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, **გიორგი მორჩილაძის** აზრით, ხომ არის შესაძლებელი, რომ ადგილობრივმა ზედამხედველობის სამსახურმა შეამოწმოს შესრულებული ის პროექტები, რომელთა ღირებულება 50000 ლარს ქვემოთაა, რადგან ვილაციისთვის არ მოხდეს თანხის გადახდა და გაკეთდეს რაც შეიძლება მეტი ეკონომია.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯერ-ჯერობით არ მომხდარა დაფინანსება 50000 ლარს ქვემოთ ღირებულების პროექტების ზედამხედველობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** აზრით, სტიქიასთან დაკავშირებით თანხების გადანაწილების შესახებ საკითხის შემოტანა ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის, რადგან ნაწილ პროექტებზე ტენდერები უკვე გამოცხადებულია.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად, ეს სამუშაოები არ შეჩერებულა და გრძელდება, ამიტომ საბოლოოდ უნდა მოხდეს მისი ბიუჯეტში ასახვა.

საკრებულოს წევრისთვის, **იოსებ ჩხაიძისთვის** გასაგებია, რომ თანხა უნდა აისახოს ბიუჯეტში, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავის მხრივ შეიძლება გამოეთქვა ჩამოთვლილ ობიექტებთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები. მისი აზრით, ტენდერი საკითხის შემოტანის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ინფორმაცია იმის შესახებ, სტიქიის შედეგად თუ სად რა დაზიანდა, მოწოდებულ იყო თითოეული მაჟორიტარი დეპუტატის მიერ და პროექტში სხვა ობიექტები ვერ ჩაისმებოდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ სოც - კულტურული ღონისძიებების ხარჯი გაიზარდოს 54600 ლარით, მათ შორის არტ გენის ფესტივალის ჩატარებისათვის გამოეყოს 24600 ლარი, შემოქმედთა წახალისებისათვის 1000 ლარი და ტრანსპორტირებისათვის 1000 ლარი, გურიის ტურიზმის განვითარებისათვის 28000 ლარი. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუფსიდირება გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრის დაფინანსება 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით

გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის გურიას დავალიანების დაფარვის მიზნით გამოეყოს 35000 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას არაფინანსური აქტივების კლების მუხლის 193300 ლარით ზრდის ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 5000 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 2000 ლარით.

მიმდინარე წლის 18 აპრილს დაეწერათ ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „იანანა“-ს წერილი, რომლის თანახმად მოსაწესრიგებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს შენიშვნების საფუძველზე სასადილო და სამზარეულო ოთახები, რისთვისაც საჭიროებს 1700 ლარის დამატებას.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დაემატოს აღნიშნული ღონისძიებისათვის ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „იანანა“-ს 1700 ლარი, 2018 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებულ იქნა საფეხბურთო კლუბის ძველი დავალიანებები და ხდება მათი ნელ-ნელა დაფარვა თუ როგორ მიდგომას აქვს ადგილი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, ეს არის ძველი დავალიანება, რომელიც წარდგენილია სასამართლო აღსრულებაზე. ამ თანხაში ასევე შედის გაი გურულის სახელფასო დავალიანება, რომელიც გასტუმრებულ უნდა იქნას ფეხბურთის ფედერაციის სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს დავალიანება გასტუმრებულ უნდა იქნას მუნიციპალიტეტში შემოსული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში შესულია აუდიტი, რომელიც ბოლოსდაბოლოს კონკრეტულად გაარკვევს რამდენია დავალიანება. სავარაუდოდ, საუბარია ნახევარ მილიონ ლარზე, რომლის გადახდას ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ შეძლებს. აუცილებლად უნდა გაირკვეს, ამათგან რომლის აღიარება და გადახდა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ.

საკრებულოს წევრი, **გოდერძი ქურიძე** დაინტერესდა, თუ რამდენ დღიანია არტ-გენის ფესტივალი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ფესტივალის პროგრამა დეტალურადაა გაწერილი. მთლიანად პროექტის ღირებულება არის 80000 ლარი. 24600 ლარი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებას, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 29000 ლარს, სადაც 5000 ლარი გათვალისწინებულია სცენისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე სცენის თანხა არ არის მითითებული. ოფიციალურად მოწოდებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დეპუტატებსაც მიეწოდება.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ გურიის ტურიზმის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 28000 ლარი. მისი თქმით, რაიმე კონკრეტული პროექტი თუ რა იგულისხმება ამ თანხის ქვეშ.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ტურიზმის განვითარების პროექტს აფინანსებს ევროკავშირი. 3 წელია მიმდინარეობს ამ პროექტის მომზადება. მიმდინარე წელს დაფინანსებისთვის გამოიყო 84000 ევრო, რომელიც უნდა გადანაწილდეს 3 მუნიციპალიტეტზე. დღეიდან დაიწყება საკონკურსო განაცხადების შევსება ელექტრონულად და გურიაში რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეუძლია წარმოადგინოს პროექტი. ეს პროცესი გაგრძელდება 25 მაისამდე და ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით გავრცელდება მედიის საშუალებით.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა ასევე ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუფსიდირების 11000 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განცხადებით, ამ თანხის გამოყოფა უშუალოდ ფაროსანასთან ბრძოლის კუთხით არ ხდება, არამედ შეიცვალა აღნიშნული ა(ა)იპ-ის სტრუქტურა, რომლის გამართულად მუშაობისთვის ხდება ამ თანხით შევსება. ეს თანხა ზოგადად მოხმარდება საწვავის შეძენას, ასევე დამატებით აყვანილ იქნა 2 პერსონალი.

საკრებულოს წევრის, **ირაკლი მარშანიშვილის** თქმით, რამდენიმე თვის წინ საკრებულოს სხდომაზე მოითხოვა, რომ შესაბამის სამინისტროში გაგზავნილიყო წერილი, რათა მოეცათ ტყის და იმ საყანე ფართობების შეწამვლის უფლება, რომლებიც მდებარეობს მდინარის პირას. დეპუტატი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტიდან გაიგზავნა თუ არა ასეთი წერილი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრა, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრიც ესწრებოდა. ტყის შეწამვლა ფიზიკურად ვერ განხორციელდება, რადგან აზიურ ფაროსანასთან ერთად განადგურდება ის მწერებიც, რომლებსაც გარკვეული სარგებელი მოაქვთ ბუნებაში. მუნიციპალიტეტში მასიურად მოხდება ბრძოლა აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ, განსაკუთრებით იქ, სადაც ცხელი წერტილებია. ასეთი არის ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეული. ყველგან დამონტაჟდება სატყუარები, სოფლებში მიწოდებულია ინფორმაცია „ფერომონი“-ს შესახებ. ასევე, არის სკაუტი მანქანები, რომლებიც მასიურად ივლიან და განახორციელებენ შეწამვლებს. მუნიციპალიტეტში წელს მობილიზებულია 5 მანქანა და 2 ტრაქტორი. საუბარია, რომ პირველ ეტაპზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოხდეს მასიური შეწამვლები, რადგან ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ასეთი სიტუაცია ჯერ-ჯერობით არ არის.

საკრებულოს წევრი, **ამირან ქანთარია** დაინტერესდა, რა ნივთიერებით მოხდება შეწამვლა - იგივე ნივთიერების, ბიფეტრინის საშუალებით თუ სხვა რაიმე ახალი პესტიციდი იქნება გამოყენებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ გამართულ შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებმა დეტალურად ახსნეს, რომ შესაწამლი ნივთიერება არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს, თუკი იქნება დაცული უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ შეწამვლის დაწყების თაობაზე სოფლებში წარმომადგენლებისა და დეპუტატების მიერ შეიძლება ვერ მოხერხდეს 24 საათით ადრე მოსახლეობის დროული გაფრთხილება. ამიტომ, 48 საათით ადრე მათ აუცილებლად ეცნობებათ შეწამვლის დაწყების შესახებ, მაგრამ მოსახლეობამ აუცილებლად უნდა დაიცვას უსაფრთხოების მითითებული ზომები. შეწამვლის პროცესი ჩატარდება დილის 7 საათიდან 11 საათამდე.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ წარმოდგენილ პროექტში ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩასმული იყო სხვა უბანი, რომლის შესწორების თაობაზე თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, მაგრამ შეცდომა არ არის გასწორებული. პროექტის მიღების შემდეგ იქნება კი ეს ხარვეზი გამოსწორებული?

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **ლევან ჩხაიძის** თქმით, ეს შეცდომა ჩასწორებულია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა საკრებულოს წევრს, რომ როგორც კი დეპუტატმა მას მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული შეცდომის შესახებ, შესაბამის სამსახურს იმავე დღეს დაევალა მისი ჩასწორება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

**მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N49 (27.04.2018)**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა,

ელიკო იმნაძემ მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ლევან ჩხაიძის 2018 წლის 17 აპრილის N444 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განყოფილების, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს (წამყვან სპეციალისტს) აქვს მუშაობის დატვირთული გრაფიკი. შესაბამისად, ითხოვს მოხელის კარიერულ განვითარებას (იმავე იერარქიულ რანგში დაბალი

თანამდებობიდან მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა) და აღნიშნული საშტატო პოზიციის შეცვლას მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) პოზიციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის იურიდიული სამსახურის მიერ, მომზადდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურათა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და დასახელებული ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N50 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (ვებგვერდი 10/08/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 210020020.35.112.016235) შეტანილ

იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხელშეკრულების გაფორმებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“, რომლის შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.

ბ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ქვეთარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვეთარის დაკარგვის შემთხვევაში მის აღდგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური.“

გ) დადგენილების მე-11 მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია“ დანართი N1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს

შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. კონტროლი მოსაკრებლის გადახდევინებისთვის

დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.“

დ) დადგენილების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესი“ დანართი N2-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაგვა-დასუფთავების ობიექტების ჩამონათვალს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.“

ე) დადგენილების მე-11 მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული „დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დაწესდეს

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი და მისი ოდენობა“ დანართი N3-ის 26-ე

გრაფა ამოღებულ იქნას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძის** თქმით, წლების განმავლობაში დასუფთავების მოსაკრებლის ის ოდენობა, რომელიც დაგეგმილი იყო ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით, არ სრულდებოდა. გასულ წელს შემოვიდა გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 67 %. აქედან გამომდინარე, მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდეს სათანადო პროექტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N51 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №30 დადგენილებაში (ვებგვერდი 02/10/2015წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

ბ) დადგენილების მე-2 მუხლის დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“ დანართი N1-ის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული გამგეობის გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N52 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N53 (27.04.2018)

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №22 დადგენილების (ვებგვერდი 06/07/2016წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.0162735) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული საქმისწარმოების წესში“ შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული დოკუმენტების მიღებარეგისტრაციას და მათ პირველად დამუშავებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება.“

ბ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დედნები ინახება მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N54 (27.04.2018)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის, **ბესიკ კუპრაძის** თქმით, სოფლებში არის ადგილები, სადაც მუდმივად არ ცხოვრობენ ადამიანები. მაგრამ საკუთარი ეზოები აქვთ გაქირავებული მეფუტკრეებზე, რომლებიც სისტემატიურად არ იმყოფებიან ადგილზე და დროგამომშვებით აკითხავენ ფუტკარს. ხშირ შემთხვევაში ასეთი ეზოები არ არიან თვალში საცემ ადგილას, ამიტომ მათი აღრიცხვა ვერ მოხერხდა. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა სოფლებში წარმომადგენლებმა და ასევე, დეპუტატებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, რათა შეწამვლის ჩატარების შესახებ წინასწარ მოხდეს ამ მეფუტკრეების გაფრთხილება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოების განხორციელების შესახებ 48 საათით ადრე მოსახლეობას აუცილებლად ეცნობება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ანალოგიურ ფაქტს მის სოფელშიც აქვს ადგილი. მისი თქმით, ნამდვილად არ იქნება პრობლემა, რომ ეს ხალხი სოფლებში მერის წარმომადგენლებმა წინასწარ 48 საათით ადრე გაართხილონ.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წერილით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას მაჩხვარეთში არსებულ წყალსაცავთან დაკავშირებით. ორი აუზიდან ერთი დანგრეულია. დღეს მიიღეს პასუხი, რომელიც მისი აზრით, არასრულყოფილია. პასუხში წერია, რომ დაზიანებული იყო კედლები და სახურავი. რომლის შესაბამისადაც აუდიტის მიერ მოხდა ობიექტის შეფასება. საკრებულოს წევრის თქმით, დაზიანებას განსაზღვრავს ექსპერტიზა, ამიტომ აღნიშნულ პასუხს უნდა ახლდეს როგორც ექსპერტიზის შეფასება, ასევე აუდიტის დასკვნაც.

საკრებულოს წევრის, **გოდერძი ქურიძის** თქმით, მაჩხვარეთის წყალსაცავი იმდენად დაზიანებულია, რომ ფაქტიურად, ექსპერტიზის დასკვნაც არ ესაჭიროება. იგი იქცა ნაგვის ბუდედ და თანდათან იშლება.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აუზი თუ ნაგავსაყრელად იქცა, საჭიროებდა გაწმენდას. მისი თქმით, აქ უნდა განხორციელებულიყო უზარმაზარი პროექტი, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას ჭაბურღილის წყლის საშუალებით, მაგრამ იგი შეჩერებულია და სრულიად უცნობია, გაგრძელდება თუ არა.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარემ, **ლელა ჩახვაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. ამის შემდეგ, აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ვილაცას თავისი სამოქმედო ზონა გონია, ისე, რომ არ ექვემდებარებოდეს არანაირ კანონზომიერებას. მას მხედველობაში აქვს ხელფასების მატება პერსონების მიმართ. მიუღებელია, რომ ერთიდაიგივე

თანამდებობაზე მყოფ ადამიანებს ქონდეთ სხვადასხვა ხელფასი და ეს ხდება რამდენიმე ა(ა)იპ-ში. ზოგადად, მომხრეა ყველას მოემატოს ხელფასი. ადამიანები საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით, თანასწორი არიან და ა(ა)იპ-ში საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასერიოზულ შთაბეჭდილებას ქმნის.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ როცა სპეციალისტებისთვის ხელფასის მომატებაზე იყო საუბარი, წინაარმდეგი არ წასულა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო, თუ რა ოდენობით იქნებოდა განსაზღვრული ხელფასები ა(ა)იპ-ებში, რადგან ზოგ ა(ა)იპ-ში ძალიან მცირე ხელფასია, 70-80 ლარის ფარგლებში. მისთვის გაუგებარია საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება.

მუნიციპალიტეტის მერს, **ალექსანდრე სარიშვილს** გაუკვირდა, რომ ა(ა)იპ-ში ერთი და იგივე თანამდებობაზე მყოფ პირებს აქვს სხვადასხვა ოდენობის ხელფასი. მისი თმით, რამდენიმე ა(ა)იპ-ში შეიცვალა მიდგომა და ჩამოყალიბდა სტრუქტურულად დირექტორის, მოადგილის თუ ნებისმიერი თანამშრომლის ხელფასის რაოდენობა. ყველგან ნამდვილად არ განხორციელებულა ეს ცვლილება, რადგან ზოგიერთ ა(ა)იპ-ში ფინანსურად იმის შესაძლებლობაც არ არის, რომ თანამშრომლებზე სამყოფი ხელფასი გაიცეს, მაგრამ ბევრ ა(ა)იპ-ში ასე თუ ისე მოხდა ხელფასის მომატება და რაღაც დონემდე მისი აწევა. ეს ძირითადად შეეხო ისეთ თანამშრომლებს, რომელთაც ყველაზე დაბალი ხელფასი ქონდათ და მიზერული თანხა მოემატათ შესაძლებლობის ფარგლებში, იმის მიხედვით, რისი საშუალებაც იყო მიმდინარე წელს. ა(ა)იპ ლანხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ასეთი ცვლილება ვერ მოხერხდა, რადგან იგი გაიყო და შეიქმნა ახალი ა(ა)იპ-ი შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობის თანხა წელს ა(ა)იპ ლანხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას ჩამოაკლდა და წლის ბოლოს მათთვის სავარაუდოდ, თანხა იქნება დასამატებელი.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ არასწორი დამოკიდებულებაა, როცა ერთი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს აქვს მეტი ხელფასი, მეორეს კი - ნაკლები.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ალბათ, არის განსხვავება ხელფასების რაოდენობას შორის, მაგრამ ეს გამოწვეულია ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელების დატვირთვის გათვალისწინებით. მან მაგალითად მოიყვანა, ა(ა)იპ ლანხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგამნანათლებლო - სააღმზრდელო ცენტრი. მის ხელმძღვანელს აბარია და პასუხისმგებელია მთელი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებზე. აქედან გამომდინარე, მას აქვს გაცილებით მეტი დატვირთვა, ვიდრე ზოგიერთი სხვა ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს.

საკრებულოს წევრის, **კახაბერ ასკურავას** აზრით, ეს არის არასწორი მიდგომა, რადგან ხელფასები უნდა იყოს გათანაბრებული. როცა მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში საუბარი იყო თანამშრომლების ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით, მერიის მხრიდან იგივე მიდგომები უნდა ყოფილიყო ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში. წარმოდგენილი იქნებოდა თითოეული ა(ა)იპ-ის სამტატო ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა გადახედვა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერიის

პოლიტიკა ზოგადად იქნებოდა სწორი, გამჭვირვალე და არა ისეთი, როგორც იყო წლების განმავლობაში, რაც მუდმივად დავის საგანია. მისი თქმით, თუკი ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს მათი დატვირთვის მიხედვით უნდა ქონდეთ სხვადასხვა ხელფასი, მაშინ მუნიციპალიტეტის მერმა უნდა დაამტკიცოს ამის საჭიროება, თუ რა მიზანი მიიღწევა და რა შედეგი ექნება ყოველივე ამას. აქედან გამომდინარე, მას აქვს მოლოდინი, რომ უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის მერი წარმოადგენს თუ კონკრეტულ ა(ა)იპ-ში რამდენი თანამშრომელია, როგორია მათი ხელფასები, რატომაა განსხვავება ხელფასების რაოდენობას შორის და ა.შ. რათა დაამტკიცოს, რომ თანხები მიზნობრივად ნაწილდება.

საკრებულოს წევრის, **ირაკლი მარშანიშვილის** თქმით, თუკი დატვირთვის მიხედვითაა განსაზღვრული ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელების ხელფასი, მაშინ რატომ არ არის იგივე მიდგომა სოფლებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან დაკავშირებით, რადგან მათი დატვირთვა სოფლის სიდიდიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებია.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** გურიის რეგიონალური კარატეს ფედერაციის ხელმძღვანელს, მერაბ თურქიას მიულოცა მორიგი წარმატება. მან საკრებულოს წევრებს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის მერს მოუწოდა დაინტერესდნენ, თუ რა პირობებში უწევს მუშაობა ამ ადმიანს. მერაბ თურქიას აქვს დიდი წარმატებები, ამიტომ მას ხელშეწყობა და ყურადღების გამახვილება ჭირდება.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ გაზიფიცირებასთან დაკავშირებით, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გამორჩენილი იყო სოფელი ჭინათი. იგივე მდგომარეობა იყო ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭალასთან დაკავშირებით. მან პრესის საშუალებით შეიტყო, რომ სოფელი ჭალა შეყვანილია პროექტში, ხოლო ჭინათი-არა.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, შესაბამის სამინისტროს მიმართა წერილით, თუ რომელი სოფლები არ იყო პროექტში შეყვნილი. მითითებული იყო, რომ ლესის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელია სოფელი ჭინათი, ხოლო ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის -სოფელი ჭალა. იგივე მდგომარეობაა სოფელ ღრმაღელესთან დაკავშირებით. შეცდომის გამოსასწორებლად მიმდინარეობს მუშაობა და სიტუაციის გარკვევა. მიმდინარე წელს სრულად გაზიფიცირებული უნდა ყოფილიყო ლესის ადმინისტრაციული ერთეული, ასევე ჩიბათი, ღრმაღელის და ქვემო აკეთის თემები.

საკრებულოს წევრის, **კახაბერ ასკურავას** თქმით, სოფელ ნიგოთში მიწები გაყვანილია, მაგრამ გაზი არ არის.

საკრებულოს წევრის, **ამირან ქანთარიას** განცხადებით, უკვე რამდენი წელია, როგორც წინა მოწვევის, ასევე ამჟამინდელი საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ განუცხადებია, რომ კლინიკა „ჯანმრთელობის“ მიმდებარედ საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ დაზიანებულ იქნა ასფალტის საფარი, რომელიც მას საკუთარი ხარჯით ქონდა გაკეთებული. ამის გამო, მოსახლეობას პრობლემები ექმნება კლინიკის შენობასთან

მისვლასთან დაკავშირებით. წვიმინ ამინდში დგება წყალი და იტბორება მიმდებარე ტერიტორია. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ხდება პრობლემის მხოლოდ ჩანიშვნა, ხოლო სათანადო რეაგირება არ არის, გარდა ცრუ დაპირებებისა. მისთვის გაურკვეველია, თუ როგორ მიდგომას აქვს ადგილი, რადგან მისი აზრით, ასეთი დამოკიდებულება მისდამი უპატივცემულობის გამომხატველია.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

